

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონის პროექტზე “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტელერადიომაუწყებლობის ჩამოყალიბება-განვითარებისათვის საკანონმდებლო მაუწყებლობის შექმნა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი პროექტი მომზადდა, მედიაუზრუნველყოფის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონში საკანონმდებლო ხარვეზის გასწორებას.

კანონპროექტი მიზნად ისახავს, აფხაზეთისა და აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის პოლიტიკური და სოციალური პრობლემის გაშუქებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით ცვლილება შედის “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონში XI თავის, 76-ე მუხლის 18-ე პუნქტში, სადაც კანონპროექტიდან სიტყვების “საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა”-ს შემდეგ ამოღებულ იქნას სიტყვა “და” დაისვას სასვენი ნიშანი ”,“ და “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ტელევიზიას” შემდეგ დაემატოს სიტყვები: “ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტელერადიომაუწყებლობა.”

ამდენად, კანონპროექტის თანახმად, არ უნდა განხორციელდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტელერადიომაუწყებლობის რეორგანიზაცია კერძო სამართლის იურიდიულ პირად.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის არ იქონიებს გაელენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსთვის ახალი ფინანსური ვალდებულების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ შედეგებს იმ პირთა მიმართ, რომლებზეც გავრცელდება კანონპროექტის მოქმედება. ამასთან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტელერადიონაუწყებლობის რეორგანიზაცია კერძო სამართლის იურიდიულ პირად აღარ განხორციელდება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადახდილი ოდენობის განსაზღვრის წესი

კანონპროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახდელი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომელმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტი განხილულია აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, შეფასებულია დადებითად. არ ყოფილა წარდგენილი ექსპერტებისათვის.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი შეფასებები კანონპროექტს არ გააჩნია.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისის თავმჯდომარე ანზორ წოწონავა.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.